

განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღებას განაპირობებს ის, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის ტრანსპორტის სფეროში ფუნქციები არ არის მკვეთრად გამიჯნული და ხშირად ხდება უფლებამოსილებათა აღრევა. კერძოდ, ტრანსპორტის სფეროში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია ტრანსპორტის სფეროს პოლიტიკა მთლიანად ერთი სტრუქტურის, კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მმართველობის სფერო გახდეს. ამ შემთხვევაში, სამინისტრო შეიმუშავენს პოლიტიკას და ამასთანავე, პასუხისმგებელი იქნება მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებაზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის მიხედვით, ტრანსპორტის სფეროში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავენს და სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები  
კანონპროექტი არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება  
კანონპროექტი არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან  
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;  
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.